ოქმი:**ო31.31222021**
თარიღი:**21/07/2022**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №8

ქ. ლანჩხუთი

15. 08. 2022 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები: ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კარლო კვიტაიშვილი, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე გიორგი იმნაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, საკრებულოს აპარატის პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (აპარატის უფროსი) ნინო ძიძიგური, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი ნუნუ სულაკაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, ადგილობრივი მედიის წარმომადგენელი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი თამარ ფირცხალაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N66 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

4. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2022 წლის 27 ივლისი, 12:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსმა **თამარ ფირცხალაიშვილმა.** მან განმარტა, რომ მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და მუნიციპალური სერვისების სამსახურის მიერ განხილულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ინიციატივა ონკოდაავადებულების PET/KT (პოზიტრონ ემისიური ტომოგრაფიის) კვლევის თანადაფინანსებასთან დაკავშირებით.

ზემოაღნიშნული კვლევის ღირებულება ძალიან მაღალია, დაახლოებით 2500

ლარიდან 3000 ლარამდე მერყეობს. ასევე, შეინიშნება ონკოდაავადებულების მზარდი ტენდენცია, რომლებიც საჭიროებენ ზემოაღნიშნული მაღალტექნოლოგიური კვლევების ჩატარებას. აღნიშნული კვლევა არ ფინანსდება სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში და მუნიციპალიტეტის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს მისი სრულად გადახდის შესაძლებლობა არ გააჩნია. ონკოლოგიური პაციენტებისაგან ზემოაღნიშნული კვლევის დაფინანსებასთან დაკავშირებით არის მომართვიანობა. კვლევის დაფინანსების მიზანია ონკოდაავადებულების სრული დიაგნოსტიკა და მკურნალობის სწორი ტაქტიკის შერჩევა.

სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამით გათვალისწინებულია მაგნიტო-რეზონანსული ტომოგრაფიის, კომპიუტერული ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიული კვლევების სახელმწიფო პროგრამებით დაუფინანსებელი ნაწილის 50% თანადაფინანსება. თუმცა ინიცირებული ზემოაღნიშნული კვლევის დაფინანსება არ არის გათვალისწინებული მისი მაღალი ღირებულებიდან გამომდინარე.

მოქალაქეთა ჯანმრთელობის დაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია გამოიძებნოს ფინანსური რესურსი 10 000 ლარის ოდენობით და სამკურნალო-საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამას დაემატოს პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) კვლევის თანადაფინანსება ღირებულების 20 %-ით. კვლევებით ისარგებლებენ 0-დან 130 000-ი სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარები. ხოლო სასწრაფო გადაუდებელი პოზიტრონულ-ემისიური ტომოგრაფიის (PET/KT) შემთხვევაში კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) -რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე). აღნიშნული ფინანსური რესურსით შესაძლებელი იქნება დაახლოებით 17 ბენეფიციარის კვლევის დაფინანსება.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 25 იანვრის N1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია.

2.დადგენილების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება –

დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N66 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მისი განმარტებით, მიმდინარე წლის 30 ივნისს საკრებულოს ფრაქციის ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ თავმჯდომარის მოადგილემ, გიორგი გოგუაძემ წერილობით მომართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს იმასთან დაკავშირებით, რომ ტოვებს საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიას, მაგრამ რჩება საკრებულოს საფინანსო -საბიუჯეტო კომისიის შემადგენლობაში. აქედან გამომდინარე, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N66 განკარგულებაში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის თქმით, ყოველგვარი პარტიული კუთვნილების გარეშე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც 2014-2017 წლებში, ასევე, ამ მოწვევის საკრებულოშიც გიორგი გოგუაძე საკმაოდ აქტიურადაა ჩართული საკრებულოს კომისიების მუშაობაში.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის ცნობად მიღების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 3 დეკემბრის N66 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2.განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ლანჩხუთი

საქართველოსთვის“.

3.პროექტი კომისიებისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 27 ივლისის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4.მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 9 წევრი.

მომხრე ბიუროს 9 წევრი, წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან განმარტა, რომ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის ივნისის თვეში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 889740,06 ლარი; სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილმა ტრანსფერმა შეადგინა 8889740,06 ლარი; საანალიზო პერიოდში შემოსავლებმა (კაპიტალურის ჩათვლით) 1461361,908 ლარი შეადგინა, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 50,3 %-ს; დღგ-მ შეადგინა 838440,08 ლარი, რაც წლიურ გეგმასთან მიმართებაში შეადგენს 51,1 %-ს; სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 4462,4 ლარი, მათ შორის ფიზიკური პირებიდან - 4210,75 ლარი; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე გადასახადი - 1259,48 ლარი; სხვა შემოსავლების სახით ბიუჯეტში შემოსულია 196534,85 ლარი, მათ შორის: მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის შემოსულია 2473,64 ლარი; საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 3685,47 ლარი; ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები - 1926,7 ლარი; ჯარიმები, სანქციები და საურავებით მიღებულია 139963,66 ლარი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2022 წლის ივნისის თვეში შემოსულობებმა 2351101,97 ლარი შეადგინა, ხოლო განვლილ საფინანსო პერიოდში ხარჯის სახით გაწეული იქნა 12180137 ლარი. ივნისის თვეში შრომით ანაზღაურებაზე გაიცა 3050728 ლარი, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება გაიცა 1121754 ლარი, საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 3154321 ლარი; სხვა საქონელი და მომსახურების ხარჯზე მიიმართა 434141 ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდაზე მიმართული იქნა 4342550 ლარი. მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ექვსი თვის შესრულება წარმოდგენილი იქნება ნაზარდი ჯამით.

საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ თვის ბოლოსთვის დასრულდება ტენდერი გრიგოლეთი-ფოთის გზის მონაკვეთზე ვიდეოთვალის დამონტაჟებასთან დაკავშირებით, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს ვითარების დარეგულირებას, მით უმეტეს, რომ მოსახლეობამ გზის აღნიშნულ მონაკვეთზე შექმნილი საშინელი სიტუაციის გამო არაერთხელ მომართა დახმარების თხოვნით.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე **ია მოქია** დაეთანხმა საკრებულოს თავმჯდომარეს და აღნიშნა, რომ ეს ძალიან კარგი ფაქტია, რადგან მოსახლეობა შეწუხებულია აღნიშნულ ტერიტორიაზე შექმნილი მდგომარეობის გამო და მათი მხრიდან რამდენჯერმე

იყო მომართვა ვითარების დარეგულირების მიზნით გარკვეული ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებით.

საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე **მაკა მშვიდობაძე** ასევე დაეთანხმა კოლეგებს და აღნიშნა, რომ უმეთვალყურეოდ გაშვებული პირუტყვის გამო ხშირად იქმნება საავარიო სიტუაცია, რასაც რამდენჯერმე ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

ბიუროს წევრების მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიშთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიში ცნობად იქნას მიღებული.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ ხშირად ზღვის სანაპირო ზოლზე და სკვერებში იმყოფება მსხვილფეხა პირუტყვი. მუნიციპალიტეტის საკრებულომ თავის დროზე პირუტყვის მოვლა-პატრონობასთან დაკავშირებით მიიღო შესაბამისი დადგენილება. აქედან გამომდინარე, მოსახლეობის ინფორმირების მიზნით, გრიგოლეთში არიგებენ საკრებულოს დადგენილებიდან ამონაწერს იმასთან დაკავშირებით, რომ მოსახლეობამ თავის პირუტყვს გაუწიოს მოვლა-პატრონობა. აღნიშნული გაფრთხილების შეუსრულებლობის შემთხვევაში მათ დაეკისრებათ შესაბამისი ჯარიმა. ამის შემდეგ, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ საკითხი, რომელზეც უნდა ისაუბროს, რკინიგზის დეპარტამენტის კომპეტენციაა და არა მუნიციპალიტეტის. კერძოდ, სუფსის რკინიგზის მიმდებარე სკვერში დაახლოებით შვიდი ძირი ნაძვის ხე არის გამხმარი, რომელიც წაქცევის შემთხვევაში წარმოადგენს გარკვეულ საფრთხის შემცველს. აღნიშნულის შესახებ მიმართეს რკინიგზის დეპარტამენტს, მაგრამ მას არ გააჩნია შესაბამისი აღჭურვილობა, რათა მოჭრას ეს დიდი ნაძვის ხეები. ამასთან, მათი ნებართვის გარეშე ხეებს ვერ მოჭრიან. საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ სურს დაუკავშირდეს რკინიგზის დეპარტამენტის ინფრასტრუქტურის დირექტორს, რათა გაირკვეს, თუ რა ღონისძიებას შეიძლება მიმართონ ამ შემთხვევაში.

საკრებულოს თავმჯდომარის თქმით, ყველანაირად დაეხმარება აღნიშნული საკითხის მოგვარებაში, ხოლო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის განმარტებით, შეიძლება ოფიციალურად მიმართონ რკინიგზის დეპარტამენტს, რომ მათი თანხმობის შემთხვევაში მუნიციპალიტეტი აიღებს ვალდებულებას და საკუთარი ძალებით მოჭრის აღნიშნულ ხეებს.

საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე **მაკა მშვიდობაძე** დაინტერესდა, თუ რატომ დაიშალა ანსამბლი ,,მხედრები“, რაზეც საკრებულოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო კომპეტენტურია, მიმართოს მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც დღევანდელ სხდომას საპატიო მიზეზით ვერ ესწრება. ამის შემდეგ საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მესამე საჯარო სკოლის მიმდებარე ტერიტორია და გზა მოწესრიგდა, რაც ძალიან კარგია, მაგრამ

დაახლოებით 20 მეტრ სიგრძის სანიაღვრე არხზე აუცილებლად გასაკეთებელია რკინის ცხაურები, რადგან ქუჩა არის შედარებით ვიწრო და მანქანის დაყენება ვერ ხერხდება. ადგილობრივი მოსახლეობის თხოვნაა, დროულად მოგვარდეს აღნიშნული საკითხი, რის თაობაზეც აპირებენ კოლექტიური წერილით მიმართონ მუნიციპალიტეტის მერიას. მან ასევე აღნიშნა, რომ სოფელ ქვიანში საყანე ფართობებთან მისასვლელი გზების პრობლემა აქამდე მოუგვარებელია, რაც მოსახლეობას ძალიან აწუხებს, რადგან ეს მათი საარსებო წყაროა. აქედან გამომდინარე, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად უნდა გამოინახოს გარკვეული თანხა. ამის შემდეგ საკრებულოს ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა სუფსაში სტიქიის შემდგომ გაწმენდითი სამუშაოების მიმდინარეობაზე და დაინტერესდა, რატომ შეჩერდა ეს პროცესი. მან ასევე აღნიშნა, რომ სასტუმრო ,,ლაშთანთან“ მოწყობილ კოლექტორში არ გადის წყალი.

საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარემ **ია მოქიამ** აღნიშნა, რომ გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო სოფელ ხიდმაღალაში. ავტობანის მაგისტრალის გადასასვლელზე მუშაობდა დიდი ზომის ტრაქტორი, რომელიც სამუშაოს დასრულების შემდეგ გადმოვიდა ახალსოფელში. ზოგადად, ხელშეკრულებას უნდა მოეწეროს ხელი, რის შემდეგ პატარა ტრაქტორი იმუშავებს მოსახლეობაში. რაც შეეხება კოლექტორის საკითხს, წვიმიან ამინდში იმყოფებოდნენ ადგილზე და კოლექტორი საკმაოდ კარგად ატარებს წყალს. ამ ეტაპისთვის თავად სასტუმრო ,,ლაშთანი“ -ს დირექტორიც კმაყოფილია კოლექტორის მუშაობით.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ ჩოლობარგის და ქვიანის რკინიგზის სადგურების შენობები საშინელ ავარიულ მდგომარეობაშია. თავის დროზე მათი რეაბილიტაცია რკინიგზის დეპარტამენტის უფლებამოსილებას წარმოადგენდა, მაგრამ რატომღაც ამ შენობებს არ ჩაუტარდა კაპიტალური რემონტი. გაირკვა, რომ აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტს აქვს გადმოცემული საკუთრებაში. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარის აზრით, მუნიციპალიტეტის მერი აუცილებლად უნდა დაინტერესდეს ამ თემით, რათა გამოიძებნოს გარკვეული გზები აღნიშნული საკითხის დროულად მოსაგვარებლად.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი